ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**ბ58. 58230662**

თარიღი:**07/03/2023**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 541 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს.კ: 41.09.32.251) პრივატიზების მიზნით ელექტორნული უპირობო აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 02 დეკემბრის N51 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადებული იქნას უპირობო ელექტრონული აუქციონი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 541 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით ს.კ: 41.09.32.251.

2. პრივატიზაციისთვის საწყისი თანხის ოდენობა განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 10 მარტის N 5001443222 დასკვნით წარმოდგენილი 17100 ლარით, „ბე“ 5130 ლარით „ ბიჯი“ 1710 ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: აუქციონი გამოცხადდეს 2023 წლის 10 მარტს 15.00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 17 მარტს 17 საათზე

4. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

5**.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ხურცილავამ

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი